

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითი სხდომის

ოქმი №7

ქ.ვანი. თავისუფლების ქ. N 65

19. 05 2021 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსანდრე ლილუაშვილი**.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგიბერიძე, გელა ვარდოსანიძე, ეთერი ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე. (დანართი №1).

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდა: რამაზ არველაძე, კობა ტოხვაძე, კობა ძაგნიძე, გელა ჩიკვაძე, გელა ღვიტიძე.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში- **ლუბა გოგოძე**.

მოწვეული პირი:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი-**ივანე მამფორია**.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი- **ზვიად კაპანაძე**.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი- **ირმა ცხვარაძე**.

სხდომა 13⁰⁰-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა და წარმოადგინა 2021 წლის 19 მაისის ბიუროს სხდომის

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხს: ივანე მამფორია

2. ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანისა და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე.

მომხს: ზვიად კაპანაძე

3. ვანის მუნიციპალიტეტის მერიისთვის, ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N63-ში, 573 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 31,01,26,219) განთავსებული შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე მდებარე 27,5 კვ.მ. ფართის სსიპ „საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის“-თვის (ს/კ 203851509) უსასყიდლო

უზურფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე, თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხსენებელი: ზვიად კაპანაძე

4. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 აპრილის N10 დადგენილებაზე სამართლებრივი დასკვნის გაცნობის თაობაზე;

მომხსენებელი: გელა ჩიკვაძე

5. პეტიციის ზღვარის ცვლილების შესახებ არასამთავრობო ორგანიზაციის „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო (LDA Georgia)“ მომართვის გაცნობის თაობაზე;

მომხსენებელი: გელა ჩიკვაძე

6. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ანგარიშების მოსმენა 2020 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: ირმა ცხვარაძე

7. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2020 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს: ზვიად კაპანაძე

8. ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების მიმოხილვის შესახებ;

მომხსენებელი: ივანე მამფორია

9. ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 2021 წლის პირველ კვარტალში გამოყოფილი და ჩარიცხული თანხების შესახებ ინფორმაციის მოსმენის თაობაზე;

მომხსენებელი: ივანე მამფორია

10. სხვადასხვა

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა 2021 წლის 19 მაისის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ცვლილება განპირობებულია საქართველოს მთავრობის 2021 წლის 04 თებერვლის N 147 განკარგულებით გამოყოფილი თანხებისა და საკუთარი სახსრების შიდა გადაადგილების ბიუჯეტში ასახვის საჭიროებით.

ამ ცვლილებებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის შემოსულობები განისაზღვრება 10836,3 ათასი ლარით, გადასახდელები 12136,8 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 1300,5 ლარის რედაქციით:

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2021 წლის 19 მაისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანისა და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე“.

მომხსენებელმა წარმოადგინა საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხა საწყისი ფასებით.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეორე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2021 წლის 19 მაისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N63-ში, 573 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 31,01,26,219) განთავსებული შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე მდებარე 27,5 კვ.მ. ფართის სსიპ „საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის“-თვის (ს/კ 203851509) უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე, თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ საარჩევნო კომისიის მიერ შემოსულია განცხადება 27,5 კვ. მ. ფართის უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე. მერიას ამ საკითხთან დაკავშირებით ჭირდება საკრებულოს თანხმობა.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მესამე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2021 წლის 19 მაისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გელა ჩიკვაძემ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 აპრილის N10 დადგენილებაზე სამართლებრივი დასკვნის გაცნობის თაობაზე;“ მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან ამ დადგენილებაზე მოსულია შენიშვნები. კერძოდ, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ეთიკის კოდექსის და ფიცის საკრებულოს ნორმატიული აქტის ფორმით დამტკიცება ეწინააღმდეგება „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-9 პუნქტს, ამიტომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 132-ე მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ შემოვიდა წინადადებით ეს საკითხი არ გასულიყო საკრებულოს სხდომაზე. კენჭი უყარეს დღის წესრიგის მეოთხე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი არ განიხილონ საკრებულოს 2021 წლის 19 მაისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გელა ჩიკვაძემ წარმოადგინა „პეტიციის ზღვარის ცვლილების შესახებ არასამთავრობო ორგანიზაციის

„ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო (LDA Georgia)“ მომართვის გაცნობის თაობაზე;

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ , ა(ა)იპ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო პროექტის „ მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ზრდა ადგილობრივ თვითმმართველობაში“ ფარგლებში მოგვმართავს ინიციატივით, რომ ვიმსჯელოთ და შევიტანოთ ცვლილება საკრებულოს დადგენილების შესაბამის მუხლში და პეტიციის წარდგენისათვის დადგენილი რეგისტრირებულ ამომრჩეველთა მინიმალური 1% ზღვარი შევამციროთ გონივრულ ფარგლებში.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ შემოვიდა წინადადებით ეს საკითხი არ გასულიყო საკრებულოს სხდომაზე. კენჭი უყარეს დღის წესრიგის მეხუთე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი არ განიხილონ საკრებულოს 2021 წლის 19 მაისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ირმა ცხვარაძემ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ანგარიშების მოსმენა 2020 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.“

მომხსენებელმა მოკლედ ისაუბრა 2020 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეექვსე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2021 წლის 19 მაისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ზვიად კაპანაძემ, წარმოადგინა „ ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2020 წელში გაწეული მუშაობის შესახებ“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პრივატიზებული და სარგებლობის უფლებით გაცემის შედეგად სულ შემოსულია 101850 ლარი. ამ თანხაში სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემული 4 ერთეული ფართიდან შემოსულია 2290 ლარი. ხოლო დანარჩენი თანხა არის პრივატიზებული ობიექტებიდან შემოსული.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეშვიდე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2021 წლის 19 მაისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-8 საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების მიმოხილვის შესახებ;“

მომხსენებელმა მოკლედ აღიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2020 წლის 28 დეკემბერს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს N28 დადგენილებით. შემოსულობების მოცულობა განისაზღვრა 6900,0 ათასი ლარით, გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 7600,0 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 700,0 ათასი ლარით. პერიოდის განმავლობაში ბიუჯეტში სამჯერ იქნა შეტანილი ცვლილებები და შემოსულობები დაზუსტდა 10762,9 ათასი ლარის, გადასახდელები 12063,4 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება 1300,5 ათასი ლარის მოცულობით.

2021 წლის ბიუჯეტის შემოსავლების წლიური გეგმა 10612,9 ათასი ლარით განისაზღვრა, ხოლო პერიოდის გეგმა 2701,3 ათასი ლარით. ბიუჯეტში მობილიზებულია 2636,7 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 24,8% -ს და საანგარიშო პერიოდის გეგმის 97,6% -ს შეადგენს.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნების წლიური გეგმა 12063,4 ათას ლარს, ხოლო პერიოდის გეგმა 3295,0 ათას ლარს შეადგენს. საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულებაა 2923,7 ათასი ლარია, წლიური გეგმის 24,2% და პერიოდის გეგმის 88,2%.

ეს ინფორმაცია ბიუროს წევრებმა მიიღეს ცნობის სახით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-9 საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 2021 წლის პირველ კვარტალში გამოყოფილი და ჩარიცხული თანხების შესახებ ინფორმაციის მოსმენის თაობაზე;“

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, 2021 წლის ბიუჯეტში შექმნილი სარეზერვო ფონდის განკარგვა ხორციელდება ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილი წესისა და ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე. სარეზერვო ფონდიდან 3 თვის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებისათვის 37,5 ათასი ლარი გამოიყო. გამოყოფილი თანხების საკასო შესრულება 36,9 ათას ლარს შეადგენს, საიდანაც სოციალური უზრუნველყოფის მუხლით 32,0 ათასი ლარი, ხოლო საქონელი და მომსახურების მუხლით 4,9 ათასი ლარი მიიმართა.

ეს ინფორმაცია ბიუროს წევრებმა მიიღეს ცნობის სახით.

საკითხების ამოწურვის შემდეგ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე